



მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1817

2015 წლის 12 დეკემბერი

ქ. მცხეთა

მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 ივნისის №29 დადგენილების, „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის №59 განკარგულებებისა და „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის №59 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 ნოემბრის №171 განკარგულების საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზება მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებებზე:


1.1. მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წეროვანში მდებარე 74 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 72.08.26.364. საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 745 (შვიდას ორმოცდახუთი) ლარით.

1.2. მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წეროვანში მდებარე 393 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 72.08.28.563. საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 5900 (ხუთი ათას ცხრაასი) ლარით.

1.3. მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წეროვანში მდებარე 300 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 72.08.28.547. საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 4505 (ოთხი ათას ხუთას ხუთი) ლარით.

- 1.4. მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წეროვანში მდებარე 337 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 72.08.28.551. საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 4049 (ოთხი ათას ორმოცდაცხრა) ლარით.
- 1.5. მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წილკანში მდებარე 200 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 72.02.35.671. საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 2405 (ორი ათასი ოთხას ხუთი) ლარით.
- 1.6. მცხეთის მუნიციპალიტეტის, ავტომობილი ვაზ-21213 სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერია AH-041-HA. საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 400 (ოთხასი) ლარით.
- 1.7. მცხეთის მუნიციპალიტეტის, ავტომობილი ვაზ-21214 სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერია AI-745-AI. საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 803,70 (რვაას სამი ლარი და 70 თეთრი) ლარით.
- 1.8. მცხეთის მუნიციპალიტეტის, ტრაქტორი MTZ-80 სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერია AB-220-B. საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 2003,70 (ორი ათას სამი ლარი და 70 თეთრი) ლარით.
2. პირველი მუხლის „1.1,1.2,1.3,1.4,1.5,1.6,1.7,1.8.“ პუნქტში მითითებული ქონების „ბე“-ს ოდენობა განისაზღვროს საწყისი გასაყიდი ფასის - 30 %-ით, ბიჯის ოდენობა საწყისი გასაყიდი ფასის - 10 %-ით.
3. პირველ პუნქტში მითითებულ ქონებაზე ელექტრონული აუქციონის შესახებ ინფორმაცია, გამოცხადდება, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შემდეგ ვებგვერდზე - www.mtskheta.org.ge ან/და www.eauction.ge და ჩატარდება გამოცხადების დღიდან მეათე კალენდარულ დღეს.
4. პირველ მუხლში მითითებული ქონების პრივატიზებისას, შეძენილი ქონების სრული ღირებულებების გადახდის ვადად განისაზღვროს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადა.
5. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში (მის.: მცხეთა, სამხედროს ქ. №17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი



ზურაბ აბესაძე

სსს- დანამ სსს-ს

